# ცნობის ფურცელი

..............................................
XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული
-------- საბჭოს საინფორმაციო რვეული ------------
------------------------

№ 4. 1953 წ. დეკემბერი.

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX
..............................................

.X.

.X. .X.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს გამგეობა გულწრფელად უსურვებს თავის წევრებს და ქართული ემიგრაციის ყველა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ბედნიერ შობას და ახალ წელს! უსურვებს მათ, რიმების მემკიდრეობას და მანმ ცვიცებას საქართველოს დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში; ხოლო ქართველ ერს - მალე განთავისუფლებას ბოლშევიზმისა და რუსული იმპერიალიზმის უღლისგან!!

:::::::::::
:::::::
::::

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX
..............................................

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

# საერთო ხელმძღვანელობა

საჭიროა საერთო ხელმძღვანელობის შექმნა! ასეთი სიტყვებით მიმართა ეხლახან ნიუ იორკში არსებულმა ერთმა ქართულმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ ქართულ ემიგრაციას! თუმცა ასეთი სიტყვები არა ერთხელ გვსმენია მთელი რიგი წლების განმავლობაში, მაგრამ მათი წარმოთქმა სულ ცოტა ხნის წინ მაინც სამწუხაროდ ეხამუშა ჩაკვირვებული მამულიშვილების ყურს!

რისგის? თითქმის ოცდაცამეტი წელია ქართული პოლიტიკური ემიგრაცია გამოხიზნული სამშობლოდან, ოცდაცამეტი წელია, რაც იგი ებრძვის საქართველოს დამპყრობლებს სიტყვით, პრესით, მეორე მსოფლიო ომში იარაღითაც, და ეხლა ვფიქრობთ საერთო ხელმძღვანელობაზე?! აკი სულ მუდამ იმას ვიძახოდით, ქართულ ემიგრაციას მთავრობა ჰყავს, იურიდიული მხარე ჩვენი ბრძოლისა სიმბოლიურად საუკეთესოდ არის დაცული და ამაში ბევრი ჩვენი მეზობელიც კი შემოგვნატროდა: ნეტავი თქვენ, მთავრობა გყავთ, ხელმძღვანელობას გიწევთ, პარტიების წარმომადგენლები, ინტელიგენცია და სხვა მებრძოლი ძალები საკმაოდ გაგაჩნიათ, და სხვა!

სხვა შემოგვნატრის და ჩვენ კი ჩვენი ბედნიერება ვერ გაგვიგია, დავბრმავდით ერთმანეთის მტრობით, შურით და სიხარბით; გადავეკიდეთ ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ და გავახარეთ გული ჩვენი დაუძინებელი და პირსისხლიანი მტრისა. სხვა ერები, რამოდენიმეს გამოკლებით, ემიგრაციაში ადგენენ მთავრობებს, ეძებენ ხალხს, რომელიც მათ გაუძღვება, რას არ სჩადიან, რომ განათლებულ კაცობრიობას დაუმტკიცონ აი ჩვენც გვყავს მთავრობა, ხელმძღვანელობა, ჩვენი ეროვნული ინტერესების დამცველნი, მოუსმინეთ მათ, ისინი გეტყვიან, ისინი აგიხსნიან ჩვენს ჭირ-ვარამს, ჩვენს მისწრაფებებს, სურვილებსა და მოთხოვნილებებს! ამ ე.წ. მთავრობებს ამაგრებენ, მათს ავტორიტეტს მაღლა სწევენ, მეტს სიმძიმეს აძლევენ, თავს ევლებიან, ელოლიავებიან და ყოველ საქმეში ერთგულად ეხმარებიან!

ჩვენ? ჩვენ კი რას ჩავდივართ?! საქართველოდან გამოხიზნული, ქართველი ერის მიერ გამოგზავნილი ეროვნული მთავრობა, მისი ცოცხლად გადარჩენილი წევრები, დამის არის ცოცხლად დავასამარეთ! რატომ, რისთვის, რას ვერჩით, რომ გვკითხონ, იმავე წამს ისტერიულ კივილ-ჭყივილს ავტეხავთ და რას არ გავიძახით: „ „ სოციალ-დემოკრატები არიან!“ „მენშევიკები“, „მარქსისტები“, „იგივენი არიან რაც ბოლშევიკები“, და მრავალი სხვა ეპიტეტებითა და აფორიზმებით ვამკობთ იმ ხალხს, ვინც ქართველმა ერმა, ასე იყო თუ ისე, თავის ხელმძღვანელად ამოირჩია და ერის ბედ-იღბალი მათ ჩააბარა.

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

სოციალ-დემოკრატიული პარტია მარტო საქართველოში არ არსებობდა - ეს ხომ ყველამ იცის. ეს პარტია მსოფლიო მნიშვნელობისაა,მსოფლიოს ყოველ ქვეყანაში არსებობს და რატომ ქართველებმა უნდა ვიწყევლოთ თავი და ბედ-იღბალი იმისათვის,რომ ჩვენს ქვეყანაშიც არსებობდა ეს პარტია? სოციალ-დემოკრატიული იდეები თითიდან არ არის გამოწუწნული,არამედ მას თავიდანვე ქონდა საფუძველი ადამიანთა ცხოვრებაში. აიღეთ გერმანია. ამ ერს ქართველები კარგად ვიცნობთ,ვიცით მისი ღირსება და დაგილი მსოფლიო კულტურისა და საერთოდ ისტორიის სარბიელზე. ამ ქვეყანაში სოციალ-დემოკრატები მუდამ დიდს როლს თამაშობდნენ და ეხლაც,მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავთ ქვეყნის მართვა-გამგეობაში,ხოლო შესაძლებელია ახალი არჩევნებისას მთავრობის სათავეში მოექცნენ! მერე რა? განა ამიტომ ისინი გერმანიას გაჰყიდიან?! შუმახერმა,აწ განსვენებულმა,ამ რამოდენიმე წლის წინ,მიუნხენში საჯაროდ განაცხადა: „ ჩვენ ჯერ გერმანელები ვართ და შემდეგ სოციალ-დემოკრატები"-ო. ეს არა უბრალო არამედ ღრმად გააზრებული ნათქვამია. ჯერ ერი და მერე პარტია,ჯერ ერის ინტერესები და მერე პარტიის!

ყველამ იცის,რომ მამაცი ფინელი ხალხის სათავეში სოციალ-დემოკრატები იდგნენ,როდესაც ამ პაწია ერს ვეებერთელა საბჭოთა კავშირი დაეტაკა და ომი აუტეხა? მერე? განა ფინელმა სოციალ-დემოკრატებმა ფინეთი გაყიდეს?! მათ,მთელს ერთან ერთად ვაჟკაცურად დაიცვეს ერი და თავიანთი სისხლით მორწყეს სამშობლოს მიწა. ფინეთი დღესაც კი დაუმარცხებელია! კეთილ ვინებით და მოვიგონოთ ქართველი სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობა საქართველოს დამოუკიდებლობის დროიდან. იმას ვერავინ იტყვის,რომ საქართველოს დამოუკიდებლობას ისინი არ იცავდნენ,ხოლო თუ დამარცხდნენ,ამას მარტო მათი შეცდომები კი არ ედო საფუძვლად,არამედ ბევრი სხვა მიზეზი,ბევრი სხვა გარემოება. მათი დამარცხება საბედისწერო იყო არა მარტო მათთვის,არამედ ყოველი ქართველისათვის,ყოველი ქართული პარტიისათვის! ისიც ცნობილია,რომ მაშინ,დამოუკიდებლობის დროს,მცირე გამონაკლისის გარდა ქართულ მთავრობას და სოციალ -დემოკრატიულ პარტიას ყველა მხარს უჭერდა,მემარჯვენე პარტიები საერთო ფერხულში იყვნენ ჩაბმულნი და მთავრობას საქმიან კრიტიკასთან ერთად დიდ დახმარებას უწევდნენ. იყვნენ მემარჯვენეთაგან ისეთნიც,რომელნიც ქართულ მთავრობას „ კოწიების მთავრობა"-ს უწოდებდნენ და მათი მტრობით მტრის ბანაკში გადასვლას არ ერიდებოდნენ. რატომ მათ არ ვამტყუნებთ,მათ,რომელნიც პროვინციალური შურით გაბოჟვინებულნი წითელი არმიის მხარეზედ გადადიოდნენ და თავიანთი ქვეყნის თავისუფლებას სამარეს უთხრიდნენ?! რამდენი გამყიდავი სული მაშინ ჩვენი სამშობლოს მიწაზე დაძრწოდა - ვინ მოსთვლის?! სამართლის ძიება ძნელი საქმეა და ყველას არ ძალუძს ჭეშმარიტი ისტორია დასწერის ახლო წარსულისა! ამა წარსულის აღმწერელი

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

უნდა იყოს მიუდგომელი, სინიდისიერი, არავის მოძულე და პატიოსანი . ასეთი პიროვნების მიერ დაწერილ ისტორიასაც დაეჯერება, ხოლო, ვინც სიძულვილზე და არა პატისნებაზე აფუძნებს თავის მსჯელობას, რასაკვირველია მას დაჯერება არ ექნება.

ადამიანის ბუნება ისეთია, რომ დიდი გაჭირვების დროს წონასწორობა ადვილად ეკარგება, თავის მახლობელს თავს ესხმის, აგინებს, ადანაშაულებს და საყვედურებით ყურებს უჭედავს. ასე დაემართა ქართული ემიგრაციის იმ ნაწილს, რომელიც 1921 წელს სამშობლოდან გადმოიხვეწა. უსამშობლოდ დარჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები, პარტიები და ჯგუფები ერთმანეთს დაერივნენ და იმის ნაცვლად, რომ გულდინჯად განესაზღვრათ განვლილი ბრძოლის მომენტები, ერთმანეთს აბრალებდნენ დამარცხებას. დანაწილდა და დაქუცმაცდა არა მარტო საერთოდ ქართული ემიგრაცია, არამედ ცალკეული პარტიები დაიყვნენ ნაწილებად და მიმდინარეობებად. ამ ჭიდილში მემარჯვენე პარტიები ერთმანეთს თუ ცალცალკე ებრძოდნენ, ყველა ერთად თავს ესხმოდა საქართველოს მთავრობასა და სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. ყველაფერში დამნაშავედ მას თვლიდნენ და მთელი უბედურების მიზეზად მათ ასახელებდნენ. როგორ შეიძლება 1921 წლის ამბებში ყველაფერში ერთი პარტია და მთავრობა დაადანაშაულოს ისტორიამ. მაშ სხვა აღარავითარი ფაქტორები აღარ ყოფილა ცხოვრების სინამდვილეში! ეს რა ისტორიაა?!

რაკი პირდაპირი მტერი დაუმარცხებელი და შორს მყოფი იყო, ამიტომ მტრად მთავრობა და სოციალ-დემოკრატები დასახეს, მათ შეუტიეს და უფრო გაბოროტებით ებრძოდნენ, ვიდრე ბოლშევიკებისაგენტებს. ერთმა პატივცემულმა ადამიანმა, ყოფილმა თავადმა, ერთხელ გულამოსკვნით მითხრა : ოი, როგორ მძულს ეს ოხერი მენშევიკებიო. რატომ მეთქი, როცა უთხარი, მითხრა, ეგენი ბოლშევიკებზე უარესები არიან; ბოლშევიკები პირდაპირი მტრები მაინც არიან ჩვენი, მენშევიკები კი მაცდურობენი. მაგათსას ვერც თავს გაიგებ და ვერც ბოლოს. მაშინ ჩემს მოსაუბრეს უთხარი, თქვენი საქმეა მენშევიკებთან თქვენი გაწყობილების საქმე, მე მხოლოდ მიკვირს, რატომ სთვლით მათ ბოლშევიკებზედ უარესად, საერთოდ რატომ ადარებთ მეთქი. მე პირადად,- უთხარი მას,- პირიქით, ბოლშევიკები მიმაჩნია დაუძინებელ მტრად და არა მენშევიკები. ნაწყენმა ჩემმა მოსაუბრემ გულისტკივილით სთქვა : მთელი მამულები ჩამომართვეს, შვიდი „დესეტინა“ დამიტოვეს მხოლოდ. მაშინ მე გულიანად გამეცინა და მხიარულად უთხარი : „ ჩვენ კი ცალი ფეხის დასადგმი ადგილიც აღარ დაგვიტოვეს ბოლშევიკებმა! მთელი მიწა-მამული კოლექტიურ მეურნეობაში ჩარიცხეს და გადაგვაქციეს მათხოვრებად! აი რატომ მეზიზღება ბოლშევიკები! - მართლაც, ახლა ემიგრაციას სინამდვილეში არ აქვს არავითარი სიძულვილის გრძნობა, ან თუ აქვს, არა ისეთი ძლიერი,- მენშევიკების მიმართ, როგორც ძველ ემიგრანტებს-არა სოციალდემოკრატებს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა


XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

ის გარემოება რომ სოციალ-დემოკრატებიც მარქსისტები არიან,-აღსანიშნავია,მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ,რომ ისინი მარქსიზმის კრიტიკოსებიც არიან,ისინი არიან პროგ-რესიული მარქსისტები და არა დოგმატიური,ჩლუნგი და განუ-ვითარებელნი. ერთხელ,როდესაც ჯერ კიდევ გერმანიაში ვიყა-ვით,მიუნხენში,ბატონმა მოსე იმნიშვილმა მოხსენება წაგვი-კითხა საზოგადოებას. მოხსენება იყო საინტერესო,მაგრამ სავსებით მარქსისტული მსოფლმხედველობით გამუქებული. მოხს ენებას ვესწრებოდით ახალი ემიგრანტებიც. ყველანი სმენად ვიყავით გადაქცეულნი. მომხსენებლის ტერმინოლოგია მეტად ცნობილი და არა ერთხელ გაგონილი გამოდგა. როდესაც დავიშა ლეთ და წამოვედით,ერთმა ჩემმა მეგობარმა მითხრა სიცილით: „ ამას არ გვეუბნებოდნენ იქაც?!" - ყველამ გავიცინეთ, მაგრამ ყველამ ერთხმად დავასკვენით,რომ ჩვენი მარქსისტე-ბი ნაციონალისტები არიან,საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრენი,ზომიერი სოციალისტები(გაიხსენეთ „შვიდი დესტი-ნა"),პროგრესის მოტრფიალენი და სხვა. ამან დაგვამშვიდა, თორემ მარქსისტულმა ტერმინოლოგიამ მართლაც გაგვიფუჭა ხალ ისი.

საქართველოშიც სხვა მიდგომა აქვს ჩვენს ხალხს. თუმც იქაც იციან კარგად,რომ ქართველი სოციალ-დემოკრატებიც მარქსისტები არიან ,მაგრამ ისიც იციან,რომ „ მენშევი-კები" ნაციონალისტები არიან. მთელი ოცდაათი წლის განმავ-ლობაში ბოლშევიკები ნოე ჟორდანიას მხოლოდ ამ ეპითეტით - „ნაციონალისტით" ,იხსენიებდნენ და მის მთავრობასა და სოც იალ-დემოკრატიულ პარტიასაც ასევე ამკობდნენ. ეს ესმის ქართველ ხალხს და იგი ბოლშევიზმის მტერს სწორედ გადახიზ-ნულ მენშევიკებში ხედავს. უფრო მეტიც,ქართველ ხალხს მათი იმედი აქვს! ეხლა,წარმოდგენილი გექნებათ,საქართველოში ფართო მასებმა რომ გაიგონ ემიგრაციის უთანხმოებანი და ყოფილი მთავრობის დამცირება,-რა ხასიათზე დადგებიან. ბოლშევიკებმა სიმართლეც რომ უთხრას ქართველ ხალხს,- იგი საბედნიეროდ არ დაიჯერებს,რადგან ბოლშევიკების სიტყვა საერთოდ არ სჯერა ხალხს. მადლობა ღმერთს რომ ასეა და ჩვე ნი უთანხმოებანი იქ მხოლოდ ჩეკისტებს სჯერათ და არა ხალხს! განა ღირს ამ იმედის წართმევა ქართველი ხალხისათვის?!

უნებლიედ კიდევ ერთი შემთხვევა მაგონდება.ტყვეობიდან ახლად განთავისუფლებული ქართველი ახალგაზრდები ერთად თავ-მეყრილნი დადიოდნენ. ეს იყო 1943 წელს.ისინი ჯერ კიდევ ბანაკში იყვნენ და ემორჩილებოდნენ ბანაკის ხელმძღვანე-ლობას,რომელთა სათავეში იდგა ძველი ქართველი მებრძოლი, დიდი პატრიოტი, არა_მარქსისტი. ახალგაზრდა ქართველთა შორის იყო ერთი ხუმარა ყმაწვილი,გვალია . მასთან სიახლოვე საიამოვნო იყო ყოველთვის,ამხიარულებდა თავის უსამშობლო მეგობრებს. არა მგონია იგი ოცდაერთ-ოცდაორ წელზე მეტისა ყოფილიყო, მოულოდნელად მათს ჯგუფს დაუახლოვდა ზემოდ მოხსე-ნებული მოღვაწე,მიადგა გვალიას და რაღაცაზედ მაგრად დატუ-ქსა და მერე ნახევარი ხუმრობის კილოთი უთხრა : „ბოლშევიკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ხარ შენ! - ზვიადს ეწყინა და უთხრა მორიდებით:მე ბოლ-
შევიკი არა ვარ,ჩემო ბატონო". უფროსს გული მოულბა დაფ
ოლანჯი ღიმილით შეეკითხა „ აბა რა ხარ?" „ მენშევიკი!"
წამოიძახა სრულიად სერიოზულად ზვიადმა. ამაზედ უფროსმა
თავში ხელი შემოიკრა და კიდევ უარესად შეუტია,აი შე ას
ისეთო! დაბნეულმა ზვიადმა თავის ამხანაგებს გადახედა და
წაიბურტყუნა: „ აბა რა ვთქვა,რა ჯანდაბა ვარ სხვა"-ო. ეს
ისეთი კილოთი იყო ნათქვამი რომ უფროსთან ერთად ყველას
სიცილი წასკდა!

ზვიადის ნათქვამს საფუძველი ჰქონდა. მას ისე არაფერი
გაეგებოდა მენშევიკობისა,როგორც ჩინური ენისა. რაში მდგო-
მარეობდა „მენშევიკობა",რა მიზანი ჰქონდათ,ან რას ემსახურე-
ბოდნენ,მისთვის რომ გვკითხათ,ვერაფერს ბევრს ვერ გვეტყო-
და. მაგრამ მან აფრისებიდან,გაგონილით,იცოდა,რომ „მენ-
შევიკები" ბოლშევიკების მტრები არიან. ეს უკვე საკმარისია
ახალგაზრდისათვის,რომელსაც მარტო იმას ასწავლიდნენ - თუ
როგორ ემსახუროს კომუნისტურ ხელისუფლებას!

დასახვა საქართველოს მტრად - სოციალ-დემოკრატებს არ
დაუმსახურებიათ. თუ რამ შეცდომა დაუშვიათ( და ვის არ ჩა-
უდენია) იგი ბრძოლით და თავდადებით გამოასწორეს. ქართული
მთავრობა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოწინავე,პასუ-
ხისმგებელი პირები მტკიცედ იდგნენ საქართველოს დამოუკიდე-
ბლობის ნიადაგზედ და ეხლაც დგანან. მაშ რატომ არ უნდა
მოხერხდეს ქართული ემიგრაციის საუკეთესო მებრძოლი ძალე-
ბის დარაზმვა ერთად და აღიარება ერთი ხელმძღვანელობისა -
ესე იგი მთავრობისა და პარტიათა წარმომადგენლობისა?!

სამწუხაროდ, ემიგრაციაში გაჩნდნენ ტიპები,-განსაკუთ-
რებით მეორე მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგ,- რომელთაც
თვით სურთ ხელმძღვანელის როლში გამოსვლა,თუმცა მათ ეს რო-
ლი სრულიადაც არ შეეფერებათ,არც ცოდნით,არც გამოცდილე-
ბით,არც სინიდისითა და პატიოსნებით. ამგვარი ჯიშის ხალხს
სურს მეთაურის როლში თვით იყვნენ და საერთო ხელმძღვანე-
ლობასაც სწორედ იმ ხელმძღვანელობას დაარქმევენ,სადაც
თვით იქნებიან სათავეში. თუ ეს არ გაუმართლდათ,რა თქმა
უნდა ისინი არავითარ სხვა ხელმძღვანელობას არ იცნობენ და
მუდამ განდგომილებასა და ბრძოლაში იქნებიან მათს წინააღმ-
დეგ.ცინიზმი ამ ხალხისა იქამდე მიდის,რომ უსირცხვილოდ
აცხადებენ: მთავრობის წევრები დაბერდნენ,მალე ამიერ სოფ-
ლით წავლენ,მათი ადგილი ჩვენ უნდა დაგვრჩესო! რასაკვირვე-
ლია,ბუნებასთან ბრძოლა ამ მხრივ ძნელია,მაგრამ შოთამ ხომ
გვიანდერძა„ ბოლოს შეგვყარნეს მიწამან ერთად მოყმე და
მხცოვანი"- ამიერ სოფლით ვინ ვის გაასწრებს ეს კიდევ საკით-
ხია და ქართული ხელმძღვანელობის საქმე ამით არ უნდა განი-
საზღვრებოდეს! გარდა ამისა, ნატვრა მოხუცთა გარდავლინებისა
არის უღირსი ბოროტება,მიუტევებელი დანაშაული,რომელიც

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ამჟღავნებს დაჩრობას და უმწეობას,და მეტს არაფერს. გამარჯვების ერთადერთ საშუალებად ვინც მხოლოდ და მხოლოდ თავისი მოწინააღმდეგის სიკვდილს თვლის,-იგი ვერაფერი მებრძოლია და საქართველოს ასეთნი ვერ გაანთავისუფლებენ! ქართული საქმის მეთაურობას ვერ ჩაუგდებთ ხელთ ასეთი სურვილებით ასულდგმულებულ ტიპებს. საქმე ისეა გამოსავალი იქივე პატიოსანი ბრძოლით,მსჯელობით,თანამშრომლობითა და ეროვნული დისციპლინის მაღლა დაყენებით!

საქმის თავიდან დაწყება ახალი „მთავრობის“ ამორჩევა და სხვა ამგვარი,მხოლოდ მტერს გაახარებდა და მეტს არავის! გარდა ამისა,საქმის თავიდან დაწყება და „მთავრობის“ ამორჩევა არც ისე ადვილია... ჩვენი ხასიათი რომ ვიცით,ქართული ხასიათი,- ახალი მეთაურობის არჩევა კეთილს არაფერს მოუტანს ამომრჩევლებს და საქმე შეიძლება სამგლოვიაროდ გათავდეს! კარიერიზმი,განდიდებისაკენ ლტოლვა,ეგოიზმი და სხვა უარყოფითი თვისებები,რომელიც ადამიანის შვილს დაბადებიდანვე ახასიათებს, -ზოგს მეტად,ზოგს ნაკლებად,ზოგს ზომიერად,ზოგს უზომოდ,- დააბრკოლებს ყოველ წამოწყებას,ყოველ ცდას და განზრახვას. ამიტომ,უფრო გონიერად მიგვაჩნია აწ არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება და მორიგება,შეთანხმება და დაზავება,გაერთიანება და შეერთება! იდეოლოგიურმა განსხვავებამ და ანტაგონიზმმა არ უნდა შეგვიკრას ხელ-ფეხი. იდეოლოგიური,კასტიური და პირადი განსხვავებები ბუნებრივი მოვლენაა და ასეთი განსხვავებანი აუცილებელია,თუ ადამიანს და ერს სურს დემოკრატიული წესწყობილება,დემოკრატიულად ცხოვრება. ასეა განათლებული კაცობრიობის თავისუფალ ნაწილში და ჩვენც ამას უნდა მივდიოთ! შეთანხმება და ერთი მაგიდის ირგვლივ სხდომა ქართველ სოციალ-დემოკრატებთან,არ უნდა ნიშნავდეს ერთი რომელიმე პარტიის მონოპოლიას,არ უნდა ნიშნავდეს იმას,რომ ყველაფერში სოციალ-დემოკრატებს მივდიოთ,ამას არც ისინი მოითხოვენ და თუ მოითხოვენ,ვერ შესძლებენ! საქართველოს განთავისუფლების შემთხვევაში და უკან დაბრუნების შემდეგ ძველი პოლიტიკით სულა რეალური ცხოვრების კარნახით შეუძლებელი გახდება. განთავისუფლებულ საქართველოში კვლავ მარქსისტული იდეებით,ძველი დოგმებით შესვლა,თითქმის შეუძლებელი იქნება,რადგან ბოლშევიზმმა ისე გარყვნა ხალხის თვალში წარმოდგენა ამ იდეოლოგიაზე,რომ მისი გაგონებაც აღარ სურს,თუნდაც რომ უმტკიცო განსხვავება კომუნისტურ და პროგრესიულ მარქსიზმს შორის. ამიტომ,როგორც სოციალ-დემოკრატები,ისე სხვანი იძულებულნი იქნებიან ახალ ვარსკვლავს გაჰყვნენ,ახალი გზების ძიებას შეუდგნენ,ძველიდან რაც პროგრესიული და სასარგებლოა დასტოვონ და მასზე დააშენონ ახალი7 მომავალი საქართველოს მოწესრიგება იმდენად რთული იქნება,რომ ამჟამად ემიგრაციაში არსებულ პარტიებს დრო აღარ ექნებათ ერთმანეთთან ბრძოლისა,მხოლოდ იმის ცდაში იქნებიან როგორ დაეხმარონ ერს და როგორ წამოაყენონ იგი ქართველ ხალხთან ერთად. მომავალ საქართველოში,მაგალითად, ძველებურ წოდებრივ ბრძოლას ვეღარავითარ შემთხვევაში ვეღა-

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

რავინ შესძლებს,რადგან ამისათვის ნიადაგიც კი აღარ იქნება. ძველი მონარქიული წესწყობილება აღარასოდეს აღსდგება,მან თავისი დრო მოჭამა და ისტორიას ჩაბარდა,მაგრამ რაიმე იდეოლოგიური მოსაზრებით ჩვენი წარსულის გინებაც აღარ უნდა იქმნეს დაშვებული და ამგვარად მტრობისა და ერთმანეთის მისისინებაც აღდგენილი. ფეოდალური მონარქიის წარსული,რომელიც საქართველოს მოეკიდება ,არის უდიდესი განძი. ეს განძი შემატებს დიდს სახელს კულტურული ევროპის თვალში, რადგან ევროპის წარსულიც იგივეა! ამიტომ,ჩვენ ვერავითარი უცხო იდეოლოგია ვერ გვაიძულებს და არც უნდა გვაიძულოს, ჩვენი ეროვნული საგანძური დავცვათ და იგი რიყის ქვებით გამოვავსოთ! ასევე ითქმის ეკლესიაზედ! ქართული ეკლესია უნდა აღსდგეს სრულ-ყოფით და განაგრძოს თავისი საუკუნოვანი სამსახური ქართველი ერისადმი! აკრძალვა სარწმუნოებისა ,თუ რომელიმე პარტიამ მოინდომა,იქნება დიდ სამარცხვინო შეცდომა მორწმუნე კაცობრიობის თვალში! ერთი სიტყვით თუ მომავალი გვიდომის და ტურფა სამშობლოს განთავისუფლება ეღირსება,საქმე ბევრია გასაკეთებელი,რაც მხოლოდ შეერთებული ძალებითაა შესაძლებელი,რაც მხოლოდ ერის ინტერესების მაღლა დაყენებით უნდა მოხდეს და არა პარტიათა ...

ნეტარ ხსენებული ნოე ჟორდანიას გარდაცვალების შემდეგ, ხელმძღვანელობა დაევალა სამეულს: ბ.ბ. ევგენი გეგეჭკორს, აკაკი ჩხენკელს და კონსტანტინე კანდელაკს. ყოველმა პარტიამ და მიმდინარეობამ უნდა სცნოს ეს მეთაურობა და თავი დაანებოს განდგომილებას! სამეული დიდათ ავტორიტეტული არიან საქართველოში და მის გარედ' აღჭურვილნი სრული ნდობით და მქონენი ოფიციალური წოდებულებისა. „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო“ მხარს უჭერს მათ,რომელიც საერთო ხელმძღვანელობას და მოითხოვს ყველა ყოფილი მინისტრებისა და ოფიციალური პირების შეკრებას ერთს კაბინეტში. აუცილებელია ოთხმა ქართულმა პარტიამ : სოციალ-დემოკრატიულმა,ეროვნულ-დემოკრატიულმა,სოციალისტ-ფედერალისტურმა და თეთრმა გიორგიმ მიაღწიონ შეთანხმება და წარადგინონ თანაბარი რაოდენობის დელეგატები საკრებულოში. საკრებულომ უნდა იკისროს პარლამენტის როლი და მასში წარმოდგენილი უნდა იქმნნენ არა მარტო ზემოდ დასახელებული პარტიები,არამედ სხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენელნიც,აგრეთვე ცნობილი საზოგადო მოღვაწენი,მეცნიერები, მწერლები და სხვანი,რომელნიც არავითარ პარტიასა და ორგანიზაციას არ ეკუთვნიან. საკრებულოს გადაწყვეტილებებს გაუძღვება მთავრობა,რომელიც ამ საკრებულოს წინაშე იქნება პასუხისმგებელი. თუ ეს მოხდა,მაშინ ნაწყენ ელემენტებს აღარ ექნებათ საბაბი წყენისა,მთავრობა ჩვენს დაუკითხავად აკეთებს რასაც უნდაო! შეთანხმებით ამუშავებული ეს ორგანო კი საუკეთესოდ გაუძღვება მთელს ქართულ ემიგრაციას და წარმართავს მას მესაფერი გზით! ეს პროექტი არის ჩვენი სურვილი და არა ბრძანება ან მოწოდება. ვნატრით,რომ ეს სურვილი აღსრულდეს!!

გ. კობ-ძე.

...............

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

## ზოგიერთი რამ საქართველოს დამოუკიდებლობის --------აღდგენის ამერიკული საბჭოს განვლილი --------- მუშაობიდან.-------------

------------

ამა წლის 16 აგვისტოს„საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკულმა საბჭომ", გამგეობის ინიციატივით, გამართა მეგობრული შეხვედრა ფინჯან ჩაიზე, როგორც თავის წევრთა, ისე თანამგრძნობთა. ურთიერთ-დაახლოებისა და აზრთა თავისუფალი გაცვლა-გამოცვლისათვის, გამგეობამ აირჩია შეხვედრის ეს სახე, რამაც , მართლაც თავისი საუკეთესო ნაყოფი გამოიღო. მეგობრულ შეხვედრას დასწრენ ქართველი მანდილოსნები, ქართველ- თუ უცხო ერის მეუღლენი და ბავშვებიც. შეხვედრა ჩატარდა მეტად სასიამოვნო ატმოსფეროში. გამგეობის თავმჯდომარემ, ბატონმა ვახტანგ აბაშიძემ ორგანიზაციის წევრებსა და სტუმრებს მიმართა მისასალმებელი სიტყვით და მოკლედ გააცნო მათ ორგანიზაციის განვლილი მოღვაწეობის შესახებ ზოგიერთი ეპიზოდები. თანაც აღნიშნა ის სიძნელეები, რომელთა გადალახვა ახალ ორგანიზაციას უხდება, მაგრამ მეგობართა და თანამშრომელთა დახმარებით იმედია სიძნელეების დაძლევას მოვახერხებთ. ბატონი აბაშიძის შემდეგ ილაპარაკა ბ. ვანო ნანუაშვილმა. თემა უმთარესად ორგანიზაციის დამოკიდებულებას სხვა ჩვენს ბედში მყოფ ორგანიზაციებთან კავშირსა და ურთიერთობას შეეხებოდა, რაც კრებულმა დიდის ინტერესით მოისმინა. სიტყვით გამოვიდა ბატონი ნ ი კ ო ლ ო ზ  ზ უ ხ უ ბ ა ი ა, რომელმაც ხაზი გაუსვა რა ინიციატორთა გონიერ განზრახვას ფინჯან ჩაიზე მოწვევისა,- აღნიშნა ყველა ქართული ძალების გაერთიანებისა და დარაზმვის აუცილებლობა. ბატონი ზუხუბაიას აზრით, ქართველთა შორის არ არსებობს არსებითი უთანხმოება და რომ მათი გაერთიანება, თუ ორივე მხრიდან სურვილი იქნება,- ადვილი შესაძლებელია.

სიტყვების შემდეგ გაიშალა ქართული სუფრა. თამადად არჩეული იქმნა ბატონი ლადო არველაძე, რომელმაც ბოლომდე კარგად ჩაატარა ლხინი. სუფრაზე იმდენი არაფერი იყო, რამდენადაც დამსწრეთა გულებში. წარმოითქვა მრავალი სადღეგრძელო. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონი ილია იაკობისძე გოლდმანის ვრცელი სიტყვა-სადღეგრძელო, რომელიც მხურვალე ტაშით იქმნა დაჯილდოებული. ბატონი გოლდმანი მეუღლით ბრძანდებოდა. მათთან დაკავშირებით თამადამ დალია ქართველთა და ებრაელთა სადღეგრძელო, როგორც ძველ მეგობარ ერთა! მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ბატონმა ნესტორ ალავიძემ, რომელმაც აღნიშნა ქართული სათვისტომოს განვლილი ოცი წლის დადებითი მოღვაწეობა და უსურვა დამსწრეთ მომავალშიც საერთო ქართული საქმისათვის დახმარება არ მოეკლოთ. განსაკუთრებით გულთბილად გვეპყრობოდენ მასპინძლები, უკრაინელები, რომელთა დარბაზშიც ქართველთა შეხვედრა მოეწყო. დაილია უკრაინულ-ქართული სადღეგრძელო და ამ ორი ერის ეროვნულმა სიმღერებმა ახლო-მახლო ქუჩები შესძრა!!

.........

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

13 სექტემბერს, 1953 წელს, პარკ-საიდ-ჰოტელში, სადაც ჩვეულებრივად იკრიბებიან ხოლმე ქართველნი, "საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს" გამგეობამ გამართა საზეიმო კრება, რომელიც მიძღვნილი იყო ილია ჭავჭავაძის დაღუპვიდან 46 წლის და 1924 წლის აგვისტოს აჯანყებიდან 29 წლის თავის აღსანიშნავად. გამგეობამ მოიწვია ქართული სათვისტომოს ყველა წევრი. სამწუხაროდ უნდა ითქვას, ასეთ ეროვნულ შეკრებებზე ყოველთვის ნაკლებად ესწრება ხალხი, მაშინ როდესაც სალაყბოდ და არჩევნებისათვის დარბაზში ტევა აღარ არის ხოლმე. დაპატიჟებული ოთხმოცი კაციდან ძლივს ოცდახუთმეტმა მოიყარა თავი. ბევრმა თავი აარიდა ჯგუფური ინტერესებით ამ შეკრებაზე დასწრებას, მაგრამ ვინც დაესწრნენ, მათ დიდის თანაგრძნობით აღნიშნეს ჩვენი ეროვნული მწუხარების ეს ორი თარიღი.

კრების თავმჯდომარემ და საქართველოს "დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს" გამგეობის მორიგმა თავმჯდომარემ, ბატონმა ალექსანდრე სულხანიშვილმა გააკეთა შესავალი მოკლე მოხსენება, დაახასიათა ამ ორი დღის მნიშვნელობა ქართველი ერისათვის, მოიგონა ზოგიერთი რამ აჯანყების დღეებიდან, როგორც მისმა მონაწილემ და მსმენელთ მოუწოდა კიდევ მეტად შემჭიდროება ქართული რიგებისა საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის საწარმოებლად. ამის შემდეგ კრებამ ერთხმად აირჩია კრების თავმჯდომარედ მხცოვანი გრიგოლ დიასამიძე, რომელმაც თავისი შესავალი სიტყვით ძლიერ იმოქმედა დამსწრეთა გრძნობებზე. ილიას თანამედროვემ და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების კარგმა მცოდნემ, ბატონმა გრიგოლ დიასამიძემ მრავალფეროვნად დაახასიათა ილიას როლი საქართველოს ისტორიაში და შემდეგ სიტყვა გადასცა მთავარ მომხსენებელს, ბატონ ლადო არველაძეს, რომელმაც ილიას პიროვნებასა და შემოქმედებაზე წაიკითხა მეტად საინტერესო ვრცელი მოხსენება. ეს მოხსენება იმდენად საინტერესოდ იქმნა მიჩნეული, რომ გამოითქვა სურვილი მისი ცალკე დაბეჭდვისა შესაფერ პირობებში. მომხსენებელს ბევრი უფიქრია, ბევრი უმუშავნია და მრავალი მასალა შეუკრებია დიდი ქართველი მწერლის, საზოგადო მოღვაწისა და მამულიშვილის შესახებ. მწყობრი და თანმიმდევრული მოხსენება ბატონი არველაძისა დიდის ინტერესით იქმნა მოსმენილი და ბოლოს მხურვალე ტაშით დაჯილდოებული.

მეორე მთავარი მოხსენება წაიკითხა ბ. ვანო ნანუაშვილმა. ეს იყო საქართველოს სისხლიანი აჯანყება 1924 წლის აგვისტოში და მისი გაკვეთილები. მომხსენებელმა მოკლედ, სხარტად, მაგრამ შესანიშნავად დახატა სურათი აჯანყებისა, დაახასიათა იგი, როგორც ეროვნული გამძლეობისა და უკვდავების სიმბოლო და დიდი გაკვეთილი, დიდი მაგალითი მომავლისათვის. მომხსენებლის აზრით, ის ერები, რომლებიც ვაჟკაცურად ებრძვიან დამპყრობლებს, მიუხედავად არა ერთხელ დამარცხებისა, მაინც ახერხებენ არსებობის განგრძობას. ხოლო ის ერები, რომლებიც მტერს ქედს მოუხრიან, უმთავრეს შემთხვევებში ისპობიან, ითქვიფებიან

ეროვნული ბიბლიოთეკა



დამპყრობელის ხელში და ამგვარად რომორც ცალკეული ერე-ბი - ქრებიან. მომხსენებელმა გაიხსენა მისი მასწავლებ-ლის, ექვთიმე თაყაიშვილის ნათქვამი ქართული მითოლოგიიდან ე.წ. უმთავრესი სულის შესახებ. თქმულება ამბობს, რომ ადამია-ნი მაშინ კვდება, როდესაც მისი მთავარი სული იკარგება. საქართველოს მთავარი სული არასოდეს ჯერ არ დაკარგულა, თუმცა მას ბევრი დამარცხება უნახავს. აგვისტოს დამარცხებამაც, მომხსენებლის აზრით, ვერ მოკლა ქართველი ერის მთავარი სული და ერთხელ იგი გაიმარჯვებს. ბატონი ნანუაშვილის მოხსენება დაჯილდოებული იქმნა მხურვალე აპლოდისმენტით.

კრების დასასრულს, ბატონმა დიმიტრი სინჯიკაშვილმა თავმ-ჯდომარეს და დამსწრეთ სთხოვა, მიეცათ მისთვის უფლება იასონ ჯავახიშვილის სიტყვის წასაკითხავად, რომელმაც იგი ბოლშე-ვიკურ სამსჯავროში წარმოსთქვა. ბატონმა სინჯიკაშვილმა წაი-კითხა ვრცელი სიტყვა იასონ ჯავახიშვილისა, რამაც უდიდესი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე. დიდი ქართველი პატრიო-ტის მჭერმეტყველებამ, ვაჟკაცურმა თავდაჭერამ და გაბედულმა სიტყვებმა, ბოლშევიკური სამსჯავრის წინაშე წარმოთქმულმა, ძლიერ აალელვა დამსწრენი და მათი გრძნობები ააჩუხჩუხა. თითქოს ყველა გადასახლდა იმ წარსულ დღეთა მდინარებაში და როდესაც მკითხველის ხმა მისწყდა , გაისმა მხურვალე ტაშის-ცემა დაყუქული ქართველი გმირის სადიდებლად!

დასასრულს, ბატონმა გრიგოლ დიასამიძემ დიდი მადლობა გამოუცხადა "საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერი-კული საბჭოს" გამგეობას ასეთი ინიციატივის გამოჩენისათვის და უსურვა მას კვლავაც ნაყოფიერი მუშაობა. თავმჯდომარემ მადლობა გამოუცხადა საზოგადოებასაც, რომელთაც ისურვეს ამ ღირსშესანიშნავ კრებაზე მოსვლა და გაზიარება ქართული გრძნო-ბებისა.

.............

## წლიური საარჩევნო კრება.

ამა წლის პირველ ნოემბერს, იმავე პარკსაიდ-ჰოტელში შესდგა "საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს" წლიური საანგარიშო-საარჩევნო კრება. კრება გახსნა მორიგმა თავმჯდომარემ, ბატონმა ალ. სულხანიშვილმა. შემდეგ კრების თავმჯდომარედ ამორჩეული იქმნა ბატონი გრიგოლ დიასამი-ძე, ხოლო მდივნად ბატონი დადი არველაძე. დღის წესრიგში იდგა:

1.- მოხსენება განვლილ მუშაობაზე.-მომხსენებელი ბატონი ვახტანგ აბაშიძე.
2.- საგარეო ურთიერთობანი.-მომხსენებელი ბ.ვანო ნანუაშვილი.
3.- სამდივნოს და რედაქციის განვლილი მუშაობა. მომხსენებელი ბ.გ.კობახიძე.
4.- ხარჯთ აღრიცხვა.-მომხსენებელი ბატონი გ.ტოლო-ბერიძე.

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

5.- საორგანიზაციო საკითხები.

6.- არჩევნები.

კრებამ მოისმინა ბ. ვ. ა ბ ა შ ი ძ ი ს მოხსენება ორგანიზაციის განვლილი მოქმედების შესახებ ერთი წლის განმავლობაში. მან მოკლედ ჩამოთვალა უმთავრესი ნაბიჯები, რაც ორგანიზაციამ და მისმა გამგეობამ გადადგა. უმთავრესი მნიშვნელობა მან მიანიჭა საქართველოს დამოუკიდებლობის ლიგის ამერიკული საბჭოს დაფუძნების ფაქტს, რამაც, მისი აზრით ადგილიდან დასძრა გაყინული მდგომარეობა და აამოძრავა არა მარტო თავისი წევრები, არამედ ამ ფაქტმა გააცოცხლა თვით მკვდარი და უმოქმედო ლიგა. შეჯიბრის სურვილმა ქართულ-ამერიკული ლიგა ისევ გამოიყვანა სამოქმედო ასპარეზზე, რაც ახალი ორგანიზაციის გაჩენას მიეწერება. მომხსენებელმა განვლილი მუშაობის ციკლიდან დიდი მნიშვნელობის მოვლენად ჩასთვალა ამერიკაში პირველი ქართული, თუმცა არა სტამბური, გაზეთის და ინგლისურ-ქართული კრებულის გამოშვების შესაძლებლობა. ხაზი გაუსვა რა ფინანსიურ და ტექნიკურ სიძნელეებს, ბატონმა აბაშიძემ აღნიშნა ამ ორგანოების დიდი მორალური მნიშვნელობა. მესამე უდიდეს ფაქტად მისი აზრით, მისაჩნევია ორგანიზაციის ლეგალური არსებობის ქარტიის მიღება შტატის დედაქალაქიდან „ საქართველოს დამოუკიდებლობის ლიგის ამერიკული საბჭოს“ სახელწოდებით. ( ამ საქმეში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის სწორედ ბატონ ვახტანგ აბაშიძეს და მის მეუღლეს პატივცემულ ქალბატონ ვანდას !რედ.) „ თვით სახელწოდება ჩვენი ორგანიზაციისა და მისი ოფიციალური ცნობა შტატის მთავრობისაგან, წარმოადგენს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტს“, სთქვა მომხსენებელმა. გარდა ზემოდ ჩამოთვლილი მიღწევებისა, მომხსენებელმა დაასახელა კიდევ რამოდენიმე, მაგრამ იქვე მსმენელებს აუწყა ზოგიერთი ნაკლიც. აგრეთვე ჩამოთვალა მთელი რიგი განზრახული სურვილებისა, რომელიც ვერ აასრულა ორგანიზაციამ, ან მხოლოდ ნაწილობრივ და სუსტად. მან დაასახელა ამის მიზეზებიც, რაც უმთავრესად ნივთიერი უსუსურობის და ზოგიერთი ტექნიკური აპარატის უქონლობის ბრალი იყო.

მომხსენებელმა ფაქტებით დაასაბუთა ის სიძნელეები, რომლის გადალახვა ორგანიზაციას და მის გამგეობას უხდებოდა. აქვე საჭიროდ ჩასთვალა მადლობის გამოცხადებით მოეხსენებინა ყველა ის პირნი, რომელთაც მორალური და ნივთიერი დახმარება გაუწია ორგანიზაციას, განსაკუთრებით : ბატონ ზურაბ ჩხოტუას, თამარ და პავლე კვარაცხელიას, ნიკოლოზ ამილახვარს, ასლან ყრუაშვილს, ლევან დადიანს, თევდორე სარჯველაძეს, ვანდა აბაშიძეს, და სხვებს. საბოლოოდ, ბ. ვ.აბაშიძემ ორგანიზაციის წევრებს გამოუცხადა მადლობა მხარის დაჭერისა და გამხნევებისათვის, რაც აუცილებელი იყო გამგეობის ნაყოფიერი მუშაობისათვის.

..........

მეორე მოხსენება, საგარეო ურთიერთობაზედ, გააკეთა ბ.ვანი ნანუაშვილმა. იგი უმთავრესად შეეხო საქართველოს დამოუკიდებლობის ლიგის ამერიკული საბჭოს კავშირებსა და ურთიერთობას როგორც ჩვენს ბედში მყოფი ერების პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, ისე ამერიკულ ორგანიზაციებთან. ამ უკანასკნელთაგან აღსანიშ-

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

შნავია კავშირი „ბოლშევიზმისაგან გათავისუფლების ამერიკულ კომიტეტთან“. ეს კომიტეტი გულისყურით ეკიდება ჩვენი ორგანიზაციის მოღვაწეობას და არ აკლებს მას მორალურ გამხნევებას. მიუხედავად ეროვნულ საკითხში არა საკმაო თანხმობისა, ამერიკულ კომიტეტთან გვიჭირავს საქმიანი კავშირი. ხშირად; ახსნა-განმარტებათა და ურთიერთ გაცვლის მიზნით,-სთქვა მომხსენებელმა,- ჩვენი დელეგატები ხვდებიან ამერიკული კომიტეტის ოფიციალურ პირებს, როგორც მაგალითად, მის თავმჯდომარეს, ვიცე-ადმირალ სტივენსს, საემიგრაციო ურთიერთობის განყოფილების უფროსს, ბატონ კანიპოლმს და სხვებს. კავშირები გაბმულია შეერთებული შტატების ზოგიერთ ოფიციალურ დაწესებულებებთან, სენატისა და კონგრესის საგარეო საქმეთა და ურთიერთობათა კომიტეტებთან და სხვა. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა ჩვენი ორგანიზაციის კავშირებს კავკასიელი ერების პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, სომხებთან, აზერბეიჯანელებთან და მთიელებთან. აქვე აღნიშნა, რომ აზერბეიჯანელებმა და იდელ-ურალის თათრებმა თავიანთი ორგანიზაციები ჩამოაყალიბეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს უშუალო დახმარებით და რჩევებით.( ამ საქმეს უძღვებოდა თვით ბატონი ნანუაშვილი, რედ.) არსებობს კავშირები და აქტიური ურთიერთობანი უკრაინულ ორ მთავარ ორგანიზაციასთან, ბელორუსულ ორ მთავარ ორგანიზაციასთან, პოლონელებთან, ბალტიელებთან და სხვა. ყველა ამ ორგანიზაციებთან ჩვენს ორგანიზაციას აქვს ოფიციალური კავშირები, აწარმოებს მათთან მიწერ-მოწერას, დელეგატების გაგზავნ-გამოგზავნას და სხვა.

მომხსენებელმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ჩვენი ორგანიზაციის როლს ევროპაში(პარიზში)შექმნილი „პარიზის ბლოკის“ ჩამოყალიბებაში და მასთან დამოკიდებულებაში. აგრეთვე იმ როლს, რომელსაც თამაშობს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდ-გენის ამერიკული საბჭოს გამგეობა ქართული ემიგრაციის გასაერთიანებლად, მთავრობისათვის მხარის დასაჭერად, ეროვნული საბჭოს პოზიციის გასამაგრებლად და სხვა. ჩვენი ორგანიზაცია ცდილობს შთააგონოს ქართულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს გაერთიანების აუცილებლობა და საქართველოს ეროვნული მთავრობის პოზიციის გამაგრება, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია და საჭირო ნეტარხსენებული ნოე ჟორდანიას გარდაცვალების შემდეგ, რომელიც იყო სიმბოლო საქართველოს სუვერენობისა.

საბოლოოდ, ბატონმა ნანუაშვილმა აღნიშნა ის როლი, რომელიც გამგეობის წევრთა შეთანხმებულ მუშაობას საგარეო ურთიერთობის წესიერი წარმოებისათვის ქონდა. „ჩვენი აღებული გეზი, სთქვა მან, მიგვაჩნია სწორად და ვეცდებით ეს გეზი არ გვამრუდოთ და არც შევიცვალოთ.“

..........

....

სამდივნოსა და რედაქციის განვლილი მუშაობის შესახებ ილაპარაკა ორგანიზაციის მდივანმა და არსებული ორგანოების რედაქტორმა, ბატონმა გივი კობახიძემ. მომხსენებელი შეეხო ტექნიკურ სიძნელეებს, რომელიც სამდივნოსა და რედაქციის მუშა-

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

იმას ხელს უშლიდა. შემდეგ გადავიდა პირდაპირ ფაქტებზე. მან აღნიშნა, რომ ორგანიზაციაში დაცულია სულ 130 ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ჩატარებულია საგანგებო სააღრიცხვო წიგნში. სამდივნოდან გასული წერილების რიცხვი უდრის 486. ერთი წლის განმავლობაში გამგეობამ შესძლო 21-ჯერ შეკრება, და მაშასადამე დაიწერა 21 ოქმი. გარდა ამისა სამდივნოს აქვს 3 საგანგებო ოქმი: პირველი - ვიცე-ადმირალ სტივენსთან შეხვედრისა; მეორე - საქართველოს პრეზიდენტის, აწ განსვენებული ნოე ჟორდანიას გარდაცვალების დღესთან დაკავშირებით მოწყობილი შეხვედრის შესახებ ბატონი ილია გოლდმანის ბინაზე; და მესამე - ამერიკული კომიტეტის საემიგრაციო ურთიერთობის განყოფილების უფროსთან, ბ. კანიპოლმთან ჩვენი დელეგატების შეხვედრისა. სამდივნოშივე ინახება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს ქარტია (ათი ცალი) ინგლისურ ენაზე და ორგანიზაციის ინკორპორაციის ოფიციალური უწყება.

შემდეგ მომხსენებელმა ჩამოთვალა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომელიც მიღებულია სხვადასხვა ქართულ და ამერიკულ ორგანიზაციებიდან და ცალკეული, ცნობილი მოღვაწეებიდან. შემდეგ გადავიდა რედაქციის მუშაობაზე. მან კრებას მიაწოდა სტატისტიკური ცნობები: „ცნობის ფურცელი“ პირველი რვეული შეიცავს 16 გვერდს, დაიბეჭდა 215 ცალი. „ცნობის ფურცლის“ 2-3 რვეული შეიცავს 18 გვერდს, დაიბეჭდა 200ცალი. „ჩვენი გზა“ ,№1-2, ინგლისურ და ქართულ ენაზე, შეიცავს 64 გვერდს. დაიბეჭდა 210ცალი. გარდა ამისა რედაქციამ გამოსცა ბატონი ვანო ნანუაშვილის ბროშურა ორჯერ, ინგლისურ ენაზე. პირველი ბროშურა შეიცავს 14 გვერდს, დაიბეჭდა 75 ცალი. მეორე - 23 გვერდს, დაიბეჭდა 75 ცალი. სულ დაიბეჭდა 135 ნაბეჭდი გვერდი, აქედან 49 გვერდი ინგლისურად. გამოვიდა სულ 775 ცალი ჟურნალი და ბროშურა.

ბოლოს, მომხსენებელმა აღნიშნა ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ორგანიზაციის გამომცემლობისა და მადლობა გადაუხადა გამგეობის წევრებს, ბატონ ი.გოლდმანს და გ-ნ გრ. ჯიასამიძეს მძიმე საქმეში უანგარი დახმარებისათვის.

.........

ორგანიზაციის ხარჯთ-აღრიცხვებზე მოკლე, მაგრამ საქმიანი მოხსენება გააკეთა ბატონმა გიორგი ლოლობერიძემ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს მოლარემ. მან აღნიშნა, რომ ორგანიზაციის მოქმედებას დიდად შეუწყო ხელი იმ დახმარებამ, რომელიც ზოგიერთმა ქართველმა მამულიშვილებმა მას გაუწია. უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა იმის გაკეთება, რაც გაკეთდა. შემდეგ მან დაწვრილებით გააცნო დამსწრეთ შემოსული და გასული ხარჯების ანგარიში. აქ ჩამოთვლა ყოველივესი შეუძლებელია და შორს წაგვიყვანს. მსურველთ შეუძლიათ ორგანიზაციის მოლარესთან იხილონ საანგარიშო საბუთები და ახლოს გაეცნონ ფინანსიურ მდგომარეობას. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ორგანიზაციის სალაროში იყო ორი ათასი დოლარი. დარჩა 771 დოლარი. ბატონმა ლოლობერიძემ თავის მხრივ კიდევ დიდი მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც გაიღო არა მარტო ნივთიერი დახმარება, არამედ მორალურ-ზნეობრივიც.

........

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

კრებამ შეაფასა ჩანვლილი მუშაობა, მიიჩნია და სცნო დამაკმაყოფილებლად. შემდეგ ერთხმად აირჩია ისევ ძველი გამგეობა ბატონი ლალი არველაძის დამატებით. ესე იგი გამგეობის წევრნი არიან: არველაძე ლალი, აბაშიძე ვახტანგ, გაჯონია ისიდორე, კობახიძე გივი, ნანუაშვილი ვანო, სურხანიშვილი ალექსანდრე და ღოღობერიძე გიორგი. შემდეგ არჩეული იქნა სარევიზიო კომისია ნესტორ ალავიძის, კარლო შატბერაშვილისა და მამია ზაქრაძის შემადგენლობით. არჩეული იქნა აგრეთვე სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: ალავიძე ნესტორ, არველაძე ლალი, დიასამიძე გრიგოლ, გოლდმანი ილია, ნანუაშვილი ვანო და კობახიძე გივი.

ილია გოლდმანმა კრებას წაუკითხა და გადაუთარგმნა საგარეო საქმეთა სამინისტროს (დარესის) სამდივნოდან ბატონი ლალი არველაძისადმი მოწერილი ბარათი, საპასუხოდ ბატონი არველაძის შენიშვნისა, რომელიც მან საგარეო საქმეთა მინისტრს გაუგზავნა. ამის შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული „ჩვენი გზის" მომავალ ნომერში.

ორგანიზაციის გამგეობამ მიიღო ახალი წევრების სია და მათი განცხადებები. ესენი არიან: ბატონი ლევან დადიანი, სოლარი იქროპირიძე, შალვა ცხვედიაშვილი, გ. შუღლიაშვილი მეუღლით ბარბარათი, ელენე დიასამიძე, ქალბატონი პაულა გოლდმანი, ქალბატონი თეზა ილიას ასული გოლდმანი და იტალია არველაძე.

განსაკუთრებული სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ქალბატონი იტალია არველაძის ჩვენს რიგებში შემოსვლა. იგი, დიდი იტალიელი ერის შვილი, ბრძანდება ბატონი ლალი არველაძის მეუღლე, ამგვარად ქართველთა რძალი. ქალბატონ იტალიას სამართლიანად აქვს დამსახურებული სიყვარული და პატივისცემა იტალიაში მყოფ, თუ ნამყოფ, ქართველთა შორის, რომელთათვის იგი იყო ღვიძლი დაი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ასეთივე სიყვარულით სარგებლობს იგი აქაც, ნიუ იორკში მცხოვრებ ქართველთა შორის, რომელთაც შემთხვევა ჰქონდათ ამ კეთილშობილი ადამიანის ახლო გაცნობისა. ჭეშმარიტად სასიხარულოა ასეთი მაღალი სულის მანდილოსნის შემომატება ჩვენს რიგებში.

# ქრონიკა

ნოემბრის დასაწყისში ჩვენს მეგობარს და თანამშრომელს, ბატონ ალექსანდრე სურხანიშვილს დიდი უბედურება შეემთხვა. იგი მუშაობს დურგლად ერთ აქაურ ქარხანაში. სამწუხაროდ, ხარაჩოს სისუსტის გამო, ფიცარი ჩატყდა და ალექსანდრე სურხანიშვილი მესამე სართულიდან ჩამოვარდა. ქვევით კუნძები ეყარა. ამ კუნძებზე დაეცა და სასტიკად დაიმტვრა. გატეხილი აღმოჩნდა მარჯვენა მხარი, ბეჭი და სამი ნეკნი. გარდა ამისა მსუბუქად დაზიანებული თავი. ორმოცდარვა საათის განმავლობაში იგი უგრძნობლად იწვა მჟავბადის კამერაში. მისი მეგობრები და ამხანაგები შიშით შეჰყურებდნენ ელოდენ საშინელ ცნობას „მუმუს" ხელიდან გამოცლისა, მაგრამ კახელი ვაჟკაცის მაგარმა სხეულმა გაუძლო საშინელ ტრავმას! ამერიკელი ექიმები გაკვირვებას გამოსთქვამდნენ მისი მაგარი აგებულების გამო და იმ საოცარი სწრაფი განკურნებისა, რომელიც სურხანიშვილმა

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

გამოიჩინა. ერთი თვის შემდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაფ-რენილი არქივი, ფენიქსებრ განახლებული მოგვევლინა და გაგვა-ხარა მისი სიცოცხლით. რამდენი გაჭირვება, რამდენი ტანჯვა გადაუტანია ამ ადამიანს ოთხი წელი ტყეში ყოფნით და ბრძო-ლით, როდესაც ის ჩოლოყაშვილის შეფიცულებთან იყო. ეხლა, ხანში შესულს, ეს შეემთხვა, მაგრამ ძველებური ღიმილით, ლაღად არის და გულმხურვალედ განაგრძობს ღვაწლს თავისი სამშობლო-სათვის. ჭეშმარიტად მოხარულნი ვართ მისი გადარჩენით

..........

1953 წლის 19 ნოემბრის სომეხთა ინგლისურ გაზეთში: „ თე ჰაი-რენიქ უიკლი"-ში, მოწინავე წერილი მიძღვნილია „ჩვენი გზის" გამოსვლასთან დაკავშირებით. მოწინავეს აქვს ასეთი სათაური: „გმირი ქართველი პატრიოტები" და წარმოადგენს მეტად გულთბილ გამოხმაურებას მოძმე სომეხი ხალხისას. ეს მოწინავე, ქართული თარგმნით დაიბეჭდება „ჩვენი გზის" შემდეგ ნომერში.

........

13 დეკემბერს, პარკსაიდ-ჰოტელში შესდგა სათვისტომოს კრება და არჩევნები. ადამიანი უნდა იყო ძლიერ გონება-მახვილი, ენა-მჭევრი და დაკვირვებული, რომ სინამდვილით, სრულყოფით აღწერო ეს საოცარი „ე.წ. არჩევნები! რა ხრიკებით, რა ეშმა-კობითა და ცინიზმით ეწყობა ეს არჩევნები, პირდაპირ საკვირ-ველია. შემოვიდა რაღაც ახალი, ულაზათო წესი ე.წ. ხმების გამოგზავნისა, რომელიც სამარცხვინოა კულტურული და წესიერი საზოგადოებისათვის. იმისათვის, რომ ხმების უმრავლესობა „თავის კაცს" შეურჩიონ, შორეულ შტატებში მცხოვრებ ქართველებს სწე-რენ მომხიბლავ წერილებს და სთხოვენ „ხმა გამოგზავნონ ". ქართველის ბუნება ხომ ვიცით?! ქართველი კაცი ხათრით საცომბი-რით მოაწერს ხელს არამც თუ „ხმას არ გამოგზავნის". ამგვა-რად, 13 სექტემბრის კრებაზე, ესწრებოდა 50-ამდე კაცი და მთლია-ნი ხმების რიცხვი კი ასამდე ავიდა!! ამის გამო გამგეობაში გავიდნენ ისეთნი, რომელთა უმრავლესობა არ იყო დამსწრეთა უმ-რავლესობის სურვილი. არჩევნები უნდა მომხდარიყო დამსწრეთა რეალური რიცხვიდან. ულოგიკობა გამოდის: თუ კი ადამიანს იმის უფლებას აძლევ, რომ ხმა გამოგზავნის, მაშინ მას არჩევნების უფლებაც აქვს. მაშინ გამგეობაში უნდა ყოფილიყო არჩეული შორე-ულ შტატებში მცხოვრები ქართველებიც! მაგრამ, რაკი ეს უაზრო-ბაა, არჩეული იქმნა ნიუ იორკელები! ასეთი არჩევნები არ არის კანონიერი, მაგრამ კანონს ვინ დაგიდევს!!

.............

სათვისტომოს ქართველთა შორის ბევრმა საკუთარი საქმე გაიჩი-ნა, რაც განსაკუთრებული კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ. მაგა-ლითად, ბატონ გიორგი ბოჭორიშვილს აქვს ავტო-სარემონტო საქმე; ბატონმა ნიკოლოზ ზუხუბაიამ გახსნა საკუთარი სადალაქო; ბა-ტონმა გ. შულიაშვილმა - სახარაზო და გ. აბულაძემ საათების სახელოსნო. ყველა ესენი ახალი ემიგრანტები არიან, სულ ორი-სამი წლის წინ ამერიკაში ჩამოსულნი! მით უმეტეს სასიხარულო და მისასალმებელია ეს ამბავი!

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

რედაქტორი: გ. კობახიძე.

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

ს-1375